



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო  
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ბრძანება N 41

ქ. თბილისი

30/01/2017

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 24 იანვრის №26 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილე - ტექნიკური მდივანსა და თავმჯდომარის მოადგილეებს შორის საკურატორო სფეროების გადანაწილების, უფლებამოსილების განსაზღვრისა და მონაცვლეობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) თავმჯდომარის 2017 წლის 24 იანვრის №26 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ნაპირდაცვის სამსახური, სანაპირო ზოლის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგისა და აღნიშნული სამსახურის სანაპირო ზოლის მორფოდინამიკური პროცესების მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობის მიმართულებით.“.

ბ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ნაპირდაცვის სამსახური, ნაპირდაცვის პროექტების მართვისა და ნაპირდაცვის სამსახურის ნაპირდაცვის პროექტების მართვის სამმართველოს საქმიანობის მიმართულებით.“.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გიორგი სეთურიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე

